

# დემონია

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „დემენცია“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 დეკემბრის № 273/ო ბრძანებით.

## დემანცია

### 1. დაავადების დეფინიცია, სინონიმები, პლასიზიკაცია და ტერმინოლოგია

სინონიმები: ქრონიკული ორგანული რეაქცია, ტვინის ქრონიკული სინდრომი, ცნობიერების აშლის ქრონიკული მდგომარეობა (confusional state), ქრონიკული ორგანული ფსიქოზი, ქრონიკული ფსიქო-ორგანული სინდრომი (1).

E.Bleuler (1916) შემოიღო ტერმინი „ორგანული სიმპტომპლაჯები”, რომელიც, მისი აზრით, ამნეზიური სინდრომის სინონიმი იყო. შემდგომში ამ ტერმინმა უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და შეცვალა გერმანულ ფსიქიატრიაში მანამდე არსებული ტერმინი „ორგანული ფსიქიური აშლილობები”.

ბრიტანულ ფსიქიატრიაში ამ მდგომარეობების დასახასიათებლად იხმარება „ტვინის ქრონიკული სინდრომი”, ხოლო ამერიკულ ლიტერატურაში „ტვინის ორგანული სინდრომი”.

ტერმინის „დემენციის” ქვეშ იგულისხმებოდა შეძენილი ჭკუასუსტობა, ანუ ტვინის დაავადებებით განპირობებული ინტელექტუალური და პიროვნული დაქვეითება და ქცევითი აშლილობები. ესკიროლმა თავის ნაშრომში „Mental Maladies” (ფსიქიური დაავადებები) მოგვცა დემენციის პირველი თანამედროვე დეფინიცია „... ცერებრული დარღვევა, ჩვეულებრივ, ქრონიკული, ... ხასიათდება ემოციურობის, აზროვნებისა და ნებელობის დაქვეითებით” (2).

დემენცია არის შეძენილი, პროგრესირებადი და შეუქცევადი ინტელექტუალური, პიროვნული, ემოციური და მნესტიკური დაქვეითება.

დემენცია წარმოადგენს კლინიკურ სინდრომს, რომელსაც სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი გააჩნია და შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინტელექტის, მესინერებისა და პიროვნების შეძენილი გლობალური დაქვეითება ცნობიერების შეცვლის გარეშე.

დემენციის შემთხვევაში, განსხვავებით ფოკალური ან სპეციფიკური დაზიანებისგან, როგორიცაა აფაზია, ან ამნეზია, ქვეითდება ორი, ან ორზე მეტი ფსიქიკური ფუნქცია. ფუნქციათა გაუარესების სტაბილური და მდგრადი ხასიათი განასხვავებს დემენციას დელირიუმისაგან, როდესაც შეცვლილი ცნობიერების ფონზე კლინდება გარდამავალი ხასიათის კოგნიტური დეფიციტი (3, 4).

ICD 10 და DSM IV კლასიფიკაციებში განასხვავებუნ შემდეგი სახის დემენციებს:

ICD 10	DSM IV
<u>დემენცია ალცარიმერის დაავადების დროს</u>	<u>ალცარიმერის ტიპის დემენცია</u>
<u>სისხლძარღვობი (ფასკულური) დემენცია</u>	<u>ფასკულური დემენცია</u>
<u>დემენცია სხვა დაავადებების, სხვა თავებში კლასიფიცირებული დაავადებების დროს</u>	<u>დემენცია, განპირობებული ზოგადი ფიზიკური მდგრადირებით</u>

<ul style="list-style-type: none"> <li>დემენცია პიკის დაავადების დროს</li> <li>დემენცია Creutzfeldt-Jakob დაავადების დროს</li> <li>დემენცია Huntington დაავადების დროს</li> <li>დემენცია პარკინსონის დაავადების დროს</li> <li>დემენცია, განპირობებული აივ (ადამიანის იმუნო-დეფიციტის ვირუსით) ინფექციით</li> <li>დემენცია სხვა დაზუსტებული დაავადებების, სხვა თავებში კლასიფიცირებული დაავადებების დროს</li> </ul> <p><b><u>დაუზუსტებული დემენცია</u></b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>პიკის დაავადებით</li> <li>Creutzfeldt-Jakob- დაავადებით</li> <li>Huntington- დაავადებით</li> <li>პარკინსონის დაავადებით</li> <li>განპირობებული აივ ინფექციით</li> <li>ქალა-ტვინის ტრაგმით</li> <li>სხვა ზოგადი ფიზიკური მდგომარეობებით, რომლებიც არ არის ზემოთ ჩამოთვლილი (მაგალითად, თავის ტვინის სიმსიგნე, პიპოთირეოზი, ინტრაკრანიული რადიაცია, ვიტამინ B12-ის ნაკლებობა)</li> </ul> <p><b><u>წამალმოხმარებით გამოწვეული დემენცია</u></b></p> <p><b><u>ძულტი(მრავალ) ეტიოლოგიური დემენცია</u></b></p> <p><b><u>დაუზუსტებული დემენცია</u></b></p>
---	---

უმეტეს შემთხვევაში დემენცია პროგრესირებადი და შეუქცევადია.

## 2. მპიდემიოლოგია

დემენციის გავრცელების სიხშირე მნიშვნელოვნად მატულობს ასაკთან ერთად, თუ 60-75 წლის ასაკის პოპულაციაში დემენცია 2%-ია, 80 წლის მოსახლეობაში იგი 20%-ს აღწევს. ჩრდილოეთ ამერიკაში, სკანდინავიასა და ევროპაში ყველაზე ხშირია ალციაიმერის ტიპის დემენცია, ხოლო რუსეთსა და იაპონიაში - ვასკულური დემენცია. შესაძლოა, ეს განსხვავება დაკავშირებულია ეტიოლოგიურ ფაქტორებთან, ან განპირობებულია დიაგნოსტიკური კრიტერიუმების განსხვავებით. ასაკის მატებასთან ერთად უფრო ხშირია ალციაიმერის ტიპის დემენცია. 75 წელზე მეტი ასაკის პირებში ალციაიმერული ტიპის დემენციის განვითარების შანსი 6-ჯერ მეტია ვასკულური დემენციის განვითარებასთან შედარებით (5).

## 3. ეტიოპათოგენეზი

ანამნეზური მონაცემებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე, უმეტეს შემთხვევაში, დემენციის გამომწვევი მიზეზის დადგენა ადვილად შესაძლებელია. თუმცა, ხშირად, საჭირო ხდება მრავალი სხვადასხვა სავარაუდო მიზეზის გათვალისწინება და გამორიცხვა. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ უშუალოდ ცნების დაზიანების მიზეზები, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ორგანოთა სისტემის დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენენ თავის ტვინის ფუნქციონირებაზე (6).

დემენციის გამომწვევი სისტემური და ცერებრული დაავადებების ჩამონათვალი

ცხრილი 1

დემენციის ეტიოლოგია	
<b>სიმიგნე</b>	პირველადი ცერებრული* მეორადი მეტასტაზური*
<b>ტრაგმა</b>	ჰემატომა* პოსტრაგმული დემენცია*
<b>ინფექცია</b>	სიფილისი* შიდსი***
<b>სისხლძარღვოვანი</b>	ინფარქტი* მრავლობითი ინფარქტი** ლაკუნური ინფარქტი განვრცობილი ინფარქტი ბისვანგერის დაავადება (სუბკორტიკული არტერიოსკლეროზული გნცეფალოპათია) ჰემოდინამიკური ტიპი*
<b>თანდაყოლილი/გენეტიკური</b>	Huntington დაავადება ** მეტაქრომული ლეიკოდისტროფია***
<b>ფიზიოლოგიური</b>	ეპილეფსია* ჰიდროცეფალია*
<b>ძეგლაბოლური</b>	ვიტამინების ნაკლებობა* ურემია, ელექტროლიტური დისბალანსი, ალკალოზი, აციდოზი, * დვიძლის დაავადებები* ქრონიკული ანოქსია* ქრონიკული ენდოკრინოპათიები*
<b>დეგენერაციული</b>	ალცენიმერის დაავადება** პიკის დაავადება** ფარის დაავადება*** ვილსონის დაავადება*
<b>დემიელინიზაცია</b>	მრავლობითი სკლეროზი***
<b>ტოქსიკური და წამლისმიერი</b>	ალკოჰოლი* მძიმე ლითონები* ნახშირული* მედიკამენტები* რადიაცია*

- \*შერეული დემენცია (სადაც გვაქვს როგორც კორტიკული, ასევე სუბკორტიკული დემენციისთვის დამახასიათებელი ნიშნები  
\*\*უპირატესად კორტიკული ნიშნები  
\*\*\*უპირატესად სუბკორტიკული ნიშნებით (7)

უკანასკნელ წლებში ავტორთა უმრავლესობა სხვა სახის დემენციებისაგან განასხვავებს შუბლის წილის დემენციას, თუმცა ასეთი სახით იგი, ჯერჯერობით, არ არის შესული არც ერთ კლასიფიკაციაში. შუბლის წილის დემენცია, რომელსაც განიხილავენ, როგორც კორტიკულ დემენციას, კლინდება შემთხვევათა 10-20%-ში, უპირატესად 50-60 წლის პირებში. ადრეულ სტადიაზე მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ფრონტალური დეფიციტი, რაც გამოიხატება პიროვნულ ცვლილებებსა და ქცევით დარღვევებში. პიროვნული ცვლილებები მოიცავს ქცევით განმუხრუჭებას, სოციალურ დეზადაპტაციას, კრიტიკის ნაკლებობას; შესაძლოა, განვითარდეს აპათია, მუტიზმი, განმეორებადი, სტერეოტიკული მოქმედებები და ქცევები. მაიმუნებში საფეთქლის წილში ქირურგიული ჩარევის შემდეგ ნანახი სიმპტომები, როგორიცაა კვებითი გაუმაძღვრობა, ემოციური ლაბილობა და სენსორული აგნოზია, რაც ცნობილია Kluver-Bucy სინდრომის სახელწოდებით, ასევე გვხვდება კორტიკალური დემენციის დროს. ალცენიმერის ტიპის დემენციისაგან განსხვავებით, ფრონტალური დემენციის ადრეულ სტადიაზე მეტყველება, გნოზისი და პრაქსისი, მეტნაკლებად, შენარჩუნებულია (8).

**სუბკორტიკულ დემენციას** ასასიათებს გამოხატული სუბკორტიკული დეფიციტი. პროგრესირებადი სუპრანუკლეარული დამბლა პირველად აღწერეს 1964 წელს, როგორც დეგენერაციული დაავადება, რომელიც მოიცავს ტვინის დეროს, ნათხემსა და ბაზალურ განგლიას. ამ დროს გამოხატულია მოტორული დარღვევები, პირველ რიგში იცვლება სიარულის მანერა, აღინიშნება დიზართრია და კისრისა და სხეულის კუნთების რიგიდულობა (9, 10).

სიხშირის მიხედვით მეორე ადგილზეა გასკულური დემენციები, რომლებიც განპირობებულია სისხლძარღვოვანი დაავადებებით. ცერებრული იშემიისა, ან ინფარქტის მიზეზი შეიძლება იყოს თრომბოემბოლია, კარდიოთრომბოზი, გულ-სისხლძრღვთა უქმარისობით გამოწვეული ანოქსია, ანემია და სხვ (11).

გასკულური დემენციის კლინიკური ნიშნები დამოკიდებულია დაზიანების უბანზე და გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით (12).

კოგნიტური დეფიციტი შეიძლება განვითარდეს ენდოგენური ფსიქიკური აშლილობების დროსაც. კოგნიტური დაქვეითების დასახასიათებლად, რომელიც ვითარდება დეპრესიის დროს, გამოიყენება ტერმინი ფსევდოდემენცია. ამ დროს კოგნიტური დეფიციტი ვლინდება ყურადღების დაქვეითებით, ფსიქიკური პროცესებისა და მეტყველების შენელებით (13). პაციენტებს შენახული აქვთ ახალი მასალის დამახსოვრების უნარი, მაგრამ უჭირთ სპონტანური გახსენება. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფსევდოდემენციის დროს პროგნოზი, განსაკუთრებით ასაკოვან პაციენტებში, საქმაოდ ცუდია (14).

## 4. პლინიაპური სიმპტომატიკა

### დემენციის ზოგადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმები (ICD 10)

#### F00-F09

I. აღინიშნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ნიშნის არსებობა:

1. მესიერების გაუარესება, რაც განსაკუთრებით ვლინდება ახალი მასალის დასწავლისას, თუმცა შორს წასულ შემთხვევებში ვერ ხერხდება ადრე ათვისებული მასალის გახსნებაც. ეს ეხება როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ მასალას. განასხვავებენ მესიერების დაქვეითების სამ ხარისხს: მსუბუქს, საშუალოსა და ღრმას.
2. სხვა კოგნიტური ფუნქციების დაქვეითება. ხასიათდება მსჯელობის, ლოგიკური აზროვნებისა და, ზოგადად, ინფორმაციის დამუშავების უნარის დაქვეითებით. განასხვავებენ კოგნიტური ფუნქციების დაქვეითების სამ ხარისხს: მსუბუქს, საშუალოსა და ღრმას.

II შენარჩუნებულია ორიენტაცია გარემოში, ანუ ნათელი ცნობიერების მდგომარეობა საკმარისად ხანგრძლივადაა შენარჩუნებული იმისთვის, რომ დავადგინოთ G1-ში მოცემული სიმპტომების არსებობა

III აღინიშნება ემოციათა კონტროლის, ან მოტივაციის დაქვეითება, ან სოციალური ქცევის შეცვლა, რაც ვლინდება რომელიმე შემდეგი ნიშნით:

1. ემოციური ლაბილობა
2. გამდიზიანებლობა
3. აპათია
4. სოციალური ქცევის მოშლა

IV კლინიკური დიაგნოზის დასასმელად, ზემოთ მოყვანილი სიმპტომები უნდა იყოს გამოხატული არანაკლებ ექვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია მხოლოდ საგარაუდო დიაგნოზის დასმა.

<b>დემენციის პლინიკური ნიშნები</b>
<b>შემუცნებითი ფუნქციები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• მეხსიერების დაქვეითება;</li> <li>• ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარის დაქვეითება;</li> <li>• აფაზია, აგნიზოა, აპრაქსია;</li> <li>• დეზორიენტაცია;</li> <li>• დაგეგმვის უუნარობა.</li> </ul>
<b>ქცევითი დარღვევები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• უცნაური (შეცვლილი) და დეზორგანიზებული ქცევა;</li> <li>• მოუსვენრობა (უჭირთ ერთ ადგილზე გაჩერება, ეწევიან მოხეტიალე ცხოვრებას);</li> <li>• თავის მოვლისა და ჰიგიენის უარყოფა;</li> <li>• ანტისოციალური ქცევა;</li> <li>• ქცევითი განმუხრუჭება.</li> </ul>
<b>გუნდ-განწყობა</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• შფოთვა</li> <li>• დეპრესია</li> </ul>
<b>აზროვნება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• დაქვეითება, გადარიბება</li> <li>• ინკოპერენტულობა</li> <li>• რიგიდულობა</li> <li>• ბოდვითი იდეები</li> </ul>
<b>აღება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ილუზია</li> <li>• ჰალუცინაცია</li> </ul>
<b>თვითშეფასება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• დაქვეითება</li> <li>• უკრიტიკობა საკუთარი მდგომარეობის მიმართ</li> </ul>

M.Gelder, R.Mayou, J.Geddes., Psychiatry., Oxford Core Text., 2005

### ალცენიმერის ტიპის დემენციის კლინიკური ნიშნები

ალცენიმერის დაავადება არის უცნობი ეტიოლოგიის პირველადი ცერებრული დეგენერაციული პათოლოგია დამახასიათებელი ნეიროპისტოლოგიური და ნეიროქიმიური ნიშნებით. უმეტეს შემთხვევაში მას აქვს თანდათანობითი დასაწყისი და ნელი, პროგრესირებადი მიმდინარეობა რამდენიმე წლის განმავლობაში. დემენციის გამომწვევ მიზეზთა შორის პირველ ადგილზე ალცენიმერის დაავადებაა.

**ალცეპაიმერის ტიპის დემენციის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ICD 10 მიხედვით****F00\* დემენცია ალცეპაიმერის დაავადების დროს (G30.-)****დიაგნოსტიკური კრიტერიუმები**

ა. აქმაყოფილებს დემენციის საერთო კრიტერიუმებს (G1-G4)

ბ. ანამნეზური მონაცემებით, სომატური დათვალიერებით ან სპეციალური გამოკვლევებით არ ვლინდება დემენციის განვითარების სხვა მიზეზები (მაგალითად ცერებროვასკულური, პარკინსონის, ან ჰანტინგტონის დაავადებები, ჰიდროცეფალია ნორმალური წნევით, აივ ინფექციით განპირობებული დაავადებები), სისტემური დაავადებები (ჰიპოთირეოზი, ვიტამინ B12, ან ფოლიუმის მჟავას ნაკლებობა, ჰიპერკალციუმია და ა.შ.), ან ფსიქოაქტიური ნივთიერებების, ან ალკოჰოლის ხმარება.

**შენიშვნა:**

დიაგნოზი დასტურდება სიკვდილის შემდეგ გაპვეთით მიღებული მონაცემების საფუძველზე, რომელიც გვიჩვენებს ნეიროფიბრილური კვანძებისა და ნევრიტული ფოლაქების არსებობას უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ფიზიოლოგიური დაბერების შემთხვევაში.

დიაგნოზის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ნიშნები (ისინი ყოველთვის არ გვხვდება, ამიტომ მათი არსებობა არ არის მიჩნეული აუცილებელად): ქერქული ფუნქციების მონაწილეობა, რაზეც მიუთითებს აფაზია, აგნოზია, აპრაქსია. მიზიდულობათა და მოტივაციის დაქვეითება, რაც იწვევს აპათიასა და ასპონტანობას, გამდიზიანებლობა, განმუხრუჭება, სოციალური დეზადაპტაცია; სპეციალური გამოკვლევებით დასტურდება ქერქული ატროფიის არსებობა (განსაკუთრებით, თუ ვითარდება თანდათანობით). მძიმე შემთხვევაში გვაქს პარკინსონისმაგვარი ექსტრაპირამიდული აშლილობები, ლოგოკლონია და ეპილეფსიური გულყრები.

**F00.0\* დემენცია ალცეპაიმერის დაავადების დროს ადრეული დასაწყისით (G30.0)**

დემენცია იწყება 65 წლის ასაკამდე, პროგრესირების შედარებით სწრაფად და გამოხატულია უმაღლესი ქერქული მოქმედების დისფუნქცია.

**მოიცავს:**

ალცეპაიმერის დაავადებას, ტიპი 2;

ალცეპაიმერის ტიპის პირველად დეგენერაციულ დემენციას, პრესენილურს;

ალცეპაიმერის ტიპის პრესენილურ დემენციას;

**F00.1\* დემენცია ალცეპაიმერის დაავადების დროს გვიანი დასაწყისით (G30.1)**

დაავადება იწყება 65 წლის შემდეგ (უფრო ხშირად, 75 წლის შემდეგ) ხასიათდება ნელი განვითარებით და გამოხატულია მეხსიერების დაქვეითება, რაც წარმოადგენს აშლილობის ძირითად ნიშანს.

**მოიცავს:**

ალცეპაიმერის დაავადებას, ტიპი 1;

ალცეპაიმერის ტიპის პირველად დეგენერაციულ დემენციას, რომელიც იწყება სენილურ ასაკში;

ალცეპაიმერის ტიპის სენილურ დემენციას;

**F00.2\* დემენცია ალცეპაიმერის დაავადების დროს ატიპური, ან შერეული (G30.8)****მოიცავს:**

ალცეპაიმერის ტიპის ატიპურ დემენციას.

ეს ტერმინი და კოდი გამოიყენება მნიშვნელოვანი ატიპური ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როცა გამოხატულია ორივე, ადრეული და გვიანი დასაწყისისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმები.

აქვე შედის ალცეპიმერისა და ვასკულური დემენციის კომბინაცია.

**F00.2\* დემენცია ალცეპიმერის დაავადების დროს, დაუზუსტებელი (G30.9)**

სხვა დაავადებების დროს განვითარებული დემენციის ქვეშ იგულისხმება სპეციფიკური დაავადებით: პიკის, Creutzfeldt-Jakob, Huntington და პარკინსონის დაავადებებით, აივ ინფექციით, ნეიროსიფილისითა და სხვ. განპირობებული დემენციები.

**პიკის დაავადებით განპირობებული დემენცია**

პიკის დაავადება დღემდე მჭიდროდაა დაკავშირებული ტერმინთან “შუბლის წილის დემენციები”, თუმცა ყოველთვის არ ხასიათდება ფრონტალური დემენციის არსებითი ნიშნით, კერძოდ დეგენერაციული პროცესის არსებობით უშუალოდ თავის ტვინის წინა ნაწილში (15). პიკის დაავადების კლასიკურ შემთხვევებში ატროფიას თან ახლავს გარკვეული უბნების შექმუხნა, უპირატესად შუბლისა და საფეთქლის წილებში. ატროფიის მოცულობა სხვადასხვაა, მაგრამ იშვიათად მოიცავს თხემისა და კეფის წილებსაც. მიკროსკოპულად ვლინდება ნეირონების გადაგვარება, (ნერვული უჯრედის ბიოთვი იჭმუხნება და გადაინაცვლებს პერიფერიულისაკენ, ხოლო ციტოპლაზმაში წარმოიქმნება “პიკის სხეულები”, რაც განასხვავებს მას ალცეპიმერის დაავადებისაგან. შეიძლება იყოს გაჯირჯვებული, “ბუშტისმაგვარი უჯრედებიც” - “პიკის უჯრედები”) ცვლილებები გამოხატულია კორტექსსა და მიმდებარე თეთრ ნივთიერებაში.

პიკის დაავადება უფრო დამახასიათებელია ქალებისათვის, ვიდრე მამაკაცებისათვის და უპირატესად იწყება 50-60 წლის ასაკში, თუმცა შესაძლებელია ბევრად ადრეული განვითარებაც (16).

საწყის სტადიაზე პიკის დაავადებისთვის დამახასიათებელია შუბლის წილის სიმპტომების განვითარების ტენდენცია. დაავადების საწყის ეტაპზე, უფრო მეტად, პიროვნების ცვლილებები და ქცევითი დარღვევებია გამოხატულია, ხოლო ინტელექტუალური და მნესტიკური დაქვეითება ნაკლებად ვითარდება. პიროვნება ხდება თავშეუკავებელი და უტაქტო. ხშირია ალკოჰოლიზმის, სექსუალური განმუხრუჭების, სოციალურად მიუღებელი ქცევის (მაგალითად, ქურდობა) შემთხვევები. უკვე თავიდანვე დაკარგულია კრიტიკის უნარი და იგნორირებულია საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესები. ავადმყოფები უხამსად ხუმრობენ, გამოხატულია სიზარმაცე.

დაავადების განვითარებასთან ერთად თვალსაჩინო ხდება ინტელექტისა და მეხსიერების დაქვეითებაც. გამოხატულია აპათია. აპათიას ზოგჯერ ცვლის დაუღალავი პიპერაქტიურობა. ბოდვითი იდეები და ჰალუცინაციები ძალიან იშვიათია. დაავადების მოგვიანებით სტადიაზე შეიძლება განვითარდეს კრუნჩხვითი განტვირთვები (17).

მეტყველება თვალსაჩინოდაა გადარიბებული, სიტყვების მარაგი შეზღუდულია და აღინიშნება სტერეოტიპული გამეორება მოკლე ფრაზებისა, ან ცალკეული სიტყვების სახით. დისფაზიის პროგრესირებისას ვითარდება უარგონფაზია და მუტიზმის პერიოდები. აგნოზიისა და აპრაქსიის განვითარება უფრო იშვიათია, ვიდრე ალცეპიმერის დაავადების დროს. ნაკლებად ახასიათებს სიარულის მანერისა და კუნთოა ტონუსის შეცვლა, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც პათოლოგიური ცვლილებები ვითარდება ბაზალურ განგლიაში, გამოხატულია პარკინსონული სიმპტომები.

Kluver-Bucy სინდრომის (გაუმაძღვრება წონის მომატებით, ტაცების რეფლექსი – მხედველობის არეში მყოფი საგნების ხელში დაჭერა და სრესა) განვითარება ადრეულ სტადიაზე განასხვავებს პიკის დაავადებას ალცეპიმერის დაავადებისაგან, რომლის დროსაც მსგავსი მდგომარეობა მოგვიანებით ვთარდება (18).

პიკის დაავადების დროს ცვლილებები ელექტროენცეფალოგრამაზე ბევრად ნაკლებადად გამოხატული, ვიდრე ალცეპიმერის დროს ან პრაქტიკულად არ განსხვავდება ნორმისაგან.

კომპიუტერული ტომოგრაფია და მაგნიტურ რეზონანსული გამოკვლევები შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს დიაგნოზის დასმისთვის. ამ კვლევებით ვლინდება საფეთქლისა და შუბლის წილის წინა უბნების ატროფია, ნათხემისა და საფეთქლის წილები მეტნაკლებად შენახულია (19).

### **აივ ასოცირებული დემენცია**

აივ ინფექციის ნეირობიოლოგიური გართულებები შესაძლებელია იყოს პირველადი და მეორადი. პირველადი გართულებები განპირობებულია ნერვულ სისტემაზე ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის უშუალო მოქმედებით. მეორადი კი - აივ ინფექციით განპირობებული ნეოპლაზმური წარმონაქმნების, ცერებროვასკულური გართულებებისა ან ოპორტუნისტული ინფექციებით გამოწვეული ცვლილებებით. ყველაზე ხშირი გართულებები მოცემულია ცხრილში (20, 21).

<b>HIV 1 ინფექციის ნეირობიოლოგიური გართულებები</b>	
I.	პირველადი ნეირობიოლოგიური გართულებები
A.	აივ -1 ნეიროკოგნიტური აშლილობები <ol style="list-style-type: none"> <li>1. აივ -1 საშუალო ნეიროკოგნიტური აშლილობა (HIV-MND)</li> <li>2. აივ-1 ასოცირებული დემენცია (HAD)</li> </ol>
B.	სხვა აივ-1 ნეირობიოლოგიური გართულებები <ol style="list-style-type: none"> <li>1. აივ-1 მენინგიტი</li> <li>2. აივ-1 ვაკუოლური მიელოპათია</li> <li>3. აივ-1 ნევროპათია</li> <li>4. აივ-1 მიოპათია</li> </ol>
II.	მეორადი ნეირობიოლოგიური გართულებები (ზოგადად იწვევენ დელირიუმს) <ol style="list-style-type: none"> <li>A. ინფექციები</li> <li>B. ნეოპლაზმა</li> <li>C. აივ ინფექციით განპირობებული ცერებროვასკულური დაავადება               <ol style="list-style-type: none"> <li>A. სხვა მიზეზებით განპირობებული დელირიუმი                   <ol style="list-style-type: none"> <li>1. წამლების გვერდითი ეფექტები</li> <li>2. ჰიპოექსემია, ჰიპერეკაპნია</li> <li>3. სხვა მეტაბოლური დარღვევები.</li> </ol> </li> </ol> </li> </ol>

აიგ ინფექციის დროს გვაქვს სუბკორტიკული დემენცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია კლინიკური ტრიადა:

1. პროგრესირებადი კოგნიტური დაქვეითება
2. მოტორული დისფუნქცია
3. ქცევითი აშლილობები

### აიგ ინფექციასთან ასოცირებული დემენციის კლინიკური ნიშნებია

<b>A. აიგ ასოცირებული დემენციის კომპლექსი (ამერიკის ნევროლოგიური აკადემიის მიხედვით)</b>
<p>1. აღინიშნება შეძენილი კოგნიტური დარღვევები, სულ ცოტა, შემდეგ ორ სფეროში: ყურადღება/კონცენტრაცია, ინფორმაციული პროცესის სისწრაფე, აბსტრაგირება/მსჯელობა, სივრცითი ორიენტაცია, მეხსიერება/დასწავლა, მეტყველება (ეს დარღვევები გამოხატული უნდა იყოს არანაკლებ ერთი თვის მანძილზე).</p> <p>კოგნიტური დარღვევები უნდა იწვევდეს სოციალური ფუნქციონირების გაუარესებას სამსახურში ან ყოველდღიურ ცხოვრებაში.</p> <p>2. ჩამოთვლილი სიმპტომებიდან აღინიშნება, სულ ცოტა, ერთი სიმპტომი:</p> <ul style="list-style-type: none"><li>ა) შეძენილი მოტორული დარღვევები</li><li>ბ) მოტივაციური ან ემოციური პათოლოგია, ან სოციალური ქცევის ცვლილებები.</li><li>გ) ნათელი ცნობიერების პერიოდი საქმარისად ხანგრძლივია, რომ შევაფასოთ “1” პუნქტი.</li><li>დ) არ არსებობს ზემოთ აღწერილი კოგნიტური ან ქცევითი დარღვევების სხვა მიზეზი (მაგ., ცნს-ის სხვა ინფექციები და ა.შ) (22).</li></ul>

აიგ ასოცირებულ დემენციასთან ერთად ხშირია **სიფილისური ინფექციით განპირობებული დემენცია**, რომლისთვისაც დამახასიათებელია გამოხატული ინტელექტუალური დაქვეითება, უკრიტიკობა საკუთარი მდგომარეობის მიმართ, ეიფორია, რომელიც დროდადრო იცვლება აპათიითა და შემდგომ სრული ასპონტანობით. პაციენტები დროთა განმავლობაში კარგავენ ინტერესს გარემო მოვლენების მიმართ, ვერ უვლიან თავს, არ პასუხობენ შეკითხვებს. ზოგჯერ ვითარდება მარაზმი, ყლაპვის გაძნელებითა და უნებლიერ შარდვა-დეფეკაციით, რაც ხდება სიკვდილის მიზეზი.

დაავადების უფრო ადრეულ სტადიაზე გამოხატულია პერსონოლოგიური და ქცევითი დარღვევები. პიროვნება კარგავს ტაქტისა და დისტანციის გრძნობას. გუნება-განწყობა შეუსაბამოდ აწეულია, რასაც თან ახლავს განდიდების (მაღალი წარმოშობისა და სიმდიდრის) ბოდვითი იდეები, უფრო იშვიათია დეპრესია ნიჰილისტური, კოტარის ბოდვით. ვითარდება მეტყველების დარღვევები (ფონეტიკურად რთული სიტყვების გამოთქმისას სპონტანური მეტყველება გართულებულია). მოგვიანებით დიზართრიდა ღრმავდება და მეტყველება ხდება წამლილი და გაუგებარი. წერის დარღვევებიდან აღსანიშნავია ასოების გამოტოვება, ერთ ხაზზე წერის გართულება. ყურადღებას იცევს მოტორიკის დარღვევები, რაც ვლინდება სიარულის მანერის შეცვლით (არამყარი, გარდიგარდმო სიარული).

ნევროლოგიური სიმპტომებიდან სახეზეა ანიზოკორია, სინათლეზე გუგების რეაქციის შესუსტება, ან გაქრობა და აკომოდაციაზე რეაქციის შენარჩუნება. შესაძლოა გულყრების განვითარებაც (23).

## 5. დაპატიჟის დიაგნოზი

I. კლინიკური დიაგნოზის პირველ საფეხურზე უნდა შეფასდეს კოგნიტური დაფიციტი სტაბილური ნათელი ცნობიერების ფონზე და უნდა დადგინდეს, რომ ადგილი აქვს დიფუზურ და არა ფოკალურ (მაგალითად, ამნეზია, პირველადი აფაზია) კოგნიტურ დარღვევებს.

II. მას შემდეგ, რაც მოხდება მდგომარეობის შეფასება დამენციის ძირითადი კრიტერიუმებით, უნდა დადგინდეს დამენციის გამომწვევი შესაძლო მიზეზი, ანამნეზი, კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე.

### ანამნეზის შეკრება:

დამენციის დიაგნოსტირებისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ანამნეზის შეკრებას, ფიზიკურ და ფსიქიკურ გამოკვლევას. გაუმართლებელია ზედმეტი ტესტების ჩატარება, რაც პაციენტისთვის საკმაოდ შემაწუხებელია, დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან და შესაძლო ყალბი დადგებითი პასუხის შემთხვევაში დამატებით პრობლემებს შეუქმნის ავადმყოფს. საჭირო ლაბორატორიული გამოკვლევების ნუსხა ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს თვითონეული პაციენტისთვის. ანამნეზის სრულფასოვნად შესაკრებად სასურველია ინფორმაციის მიღება პაციენტის ახლობლებისაგან, ამასთან ავადმყოფობის ისტორიის შეკრებას სათანადო დრო უნდა დაეთმოს, რათა მაქსიმალური სიზუსტით მოხდეს შესაძლო მიზეზების გამოვლენა და მიზნობრივი გამოკვლევების სქემის შემუშავება (24).

ანამნეზის შესწავლისას მნიშვნელობა ენიჭება დაავადების დაწყების თავისებურებას, სიმპტომთა ხასიათის, სიმწვავისა და ხანგრძლივობის დადგენას. თუ დაავადება შემპარავად დაიწყო, ეს ხშირად შეუმჩნეველი რჩება პაციენტის ახლობლისთვისაც, „უმნიშვნელო „ფუნქციურ“ ფსიქიატრიულ სიმპტომებს ნაკლებად ექცევა ყურადღება, ამიტომ გამოკითხვისას უნდა მოხდეს პაციენტის ქცევისა და კოგნიციის შედარებითი შეფასება ახლო წარსულის განმავლობაში. მნიშვნელოვანია გარდამავალი ხასიათის ქცევითი ცვლილებების, განსაკუთრებით დამის საათებში, ცნობიერების შეცვლის (შესაძლოა, უმნიშველო) გამოვლენა. დაავადების ადრეულ სტადიაზე ქცევები შეიძლება საკმარისად მოწესრიგებული იყოს ჩვეულ გარემოში, თუმცა მნიშვნელოვნად გაუარესებული ახალ სიტუაციებში. ქცევის ეპიზოდური ცვლილებები, რომელიც იწყება და მთავრდება კრიზისულად, გვაფიქრებინებს ეპილეფსიურ კომპონენტზე (25).

ანამნეზის შეკრებისას მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ პაციენტის პრემორბიდული თავისებურებანი, მემკვიდრული წინასწარ განწყობა, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, რაც დაგვეხმარება ამჟამინდელი ინელექტუალური გაუარესების სწორ შფასებაში.

ალკაიმერის ტიპის დამენციის დროს ძალიან მნიშვნელოვანია მემკვიდრული დატვირთვის გამორკვევა შემდეგ დაავადებებზე: დაუნის სინდრომი, ლეიკემია, მიელოლიმფომა, რაც ზრდის ალგებაიმერის დაავადების განვითარების რისკს. გენეტიკური მოწყვლადობის ცოდნას მნიშვნელობა აქვს Huntington-ის დაავადების შემთხვევაშიც (26).

დეგენერაციული დაავადებებისთვის, დღესდღეისობით, მოგვიანებული ასაკისა და მემკვიდრული მიღრეკილების გარდა, არ არის გამოვლენილი დაავადების განვითარების სხვა რისკ ფაქტორი. ალცეპიმერისთვის მნიშვნელოვანია მდედრობითი სქესი, წარსულში გადატანილი ქალა-ტვინის ტრაგმა და განათლების დაბალი დონე. ვასკულური დემენცია მჭიდრო კავშირშია სისხლძარღვოვანი პათოლოგიების განვითარების რისკ ფაქტორებთან, როგორიცაა ჰიპერტენზია (განსაკუთრებით, თუ სისტოლური წნევა მეტია 160 მმ გ), გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, ჰიპოდინამია, თამბაქოს წევა, მაღალი ქოლესტერინი და სხვ (27).

ანამნეზში მწვავე ტრავმის, ან მრავლობითი ქალა-ტვინის ტრავმის არსებობა გვაფიქრებინებს თავის ტვინის ტრავმით განპირობებულ დემენციაზე. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ტრავმის არსებობა ზრდის ალცეპიმერის განვითარების რისკსაც. აივ-თან ასოცირებული დემენციის დასადგენად მნიშვნელოვანია ყველა იმ გარემოების გათვალისწინება, რაც ზრდის დაინფიცირების ალბათობას, მაგალითად, მრავალი სქესობრივი პარტნიორი, დაუცველი სექსი, ინექციური წამალმოხმარება, და სხვ (28).

მედველობაში უნდა იქნას მიღებული ქრონიკული სომატური დაავადებების, როგორიცაა თირკმლების უკმარისობა, დვიძლის დაავადებები, დვიძლის ციროზი და სხვათა არსებობა, ან მძიმე ლითონებითა, ან სხვა სახის ინტოქსიკაცია (29).

## ფიზიკური გამოკვლევა

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნევროლოგიურ გამოკვლევას, მაგრამ, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ სხვა სომატური დაავადებებიც. Koran et all (1989) შეისწავლა კალიფორნიის ფსიქიატრიული დახმარების სისტემა და ნახა, რომ ფსიქიატრიული სერვისის მომხმარებელი პაციენტების 40%-ს აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის სერიოზული სომატური დაავადებები (30). ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული 534 ასაკოვანი პაციენტის შესწავლისას (Simon and Cahan) 13%-ს გამოუვლინდა ფსიქიკური აშლილობების განვითარების მწვავე და შექცევადი ფიზიკური მიზეზი (31). ყველაზე ხშირ ორგანულ პათოლოგიებს, რომლებიც განაპირობებენ ფსიქო-პათოლოგიური სიმპტომატიკის განვითარებას, წარმოადგენენ ეპილეფსია, შაკიკი, ქალა-ტვინის ტრავმა, დიაბეტი, თირეოზი და პარათირეოზი (შემთხვევათა ნახევარზე მეტი მოდის ამ დაავადებაზე) (32).

ნევროლოგიური სიმპტომების განხილვა უნდა ხდებოდეს საერთო კლინიკური სურათის ჩარჩოებში. ხანდაზმულ პაციენტებში იზოლირებული ნევროლოგიური პათოლოგიის არსებობას, შესაძლოა, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. გამოხატული ნევროლოგიური პათოლოგიის გამოვლენასთან ერთად, მნიშვნელოვანია ნაკლებად გამოხატული ცვლილებების აღრიცხვაც, რაც მიუთითებს თავის ტვინში მიმდინარე დეგენერაციულ პროცესებზე, მაგალითად, სიარულის მანერის შეცვლა, ან მოუქნელი სიარული, სტერეოტიპული მოქმედებები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ექსტრაპირამიდული, პირამიდული, ან სხვა ცერებრული დარღვევები არ არის თვალსაჩინო. განსაკუთრებული უურადღება ექცევა ყლაპვას, მეტყველებას, ყბის მოძრაობებს, როგორც ფსევდობულბური დამბლის ადრეულ ნიშნებს (დისფაგია, დიზართრია) (33).

## ფსიქიკური სტატუსი

ფსიქიკური სტატუსის კვლევისას ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კოგნიტური ფუნქციების შეფასებას სხვადასხვა სტანდარტიზებული ტესტებისა და კითხვარების გამოყენებით. ყველა გერიატრიულ პაცინტს უნდა ჩაუტარდეს მინი მენტალური სტატუსის კვლევა (იხ. დანართი 1).

კოგნიტური ფუნქციების შეფასება ყველა შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს ფსიქიკური სტატუსის კვლევის ნაწილს. ამ დროს ფასდება:

1. **ორიენტაცია –დროში, ადგილში, გარემოში;**
2. **ყურადღება და კონცენტრაციის უნარი – კვირის დღეების ბოლოდან ჩამოთვლა, 100-დან 7-ის გამოკლებით დათვლა;**
3. **მეტყველება – მხარეობის დადგენა (მემარჯვენეობა-მემარცხენეობის დადგენა), სიტყვების გამორება, გაგება (მარტივი და რთული ინსტრუქციების შესრულება), სიტყვების მოძებნა (ნაცნობი და უცნობი საგნების დასახელება), კითხვა (კითხვისას ვაკვირდებით შინაარსობრივ შეცდომებს, დისფაზიასა და დისპროსოდიას (ჟღერადობის შეცვლა)), წერა (წერისას ფასდება პერსევერაცია, ასოების გადაადგილება ან ჩანაცვლება, ან გამოტოვება);**
4. **მეხსიერება – ხანძოკლე მეხსიერება (ციფრების გამეორება), ახლო წარსულში მომხდარის გახსენება, დასწავლა (სახელის და მისამართის დასწავლა, წაკითხვიდან 3-4 წთ-ის შემდეგ გამოკითხვა), სემანტიკური მეხსიერება (ცნობილი ადამიანების, თარიღების, ადგილების დასახელება), ეპიზოდური მეხსიერება (მაგალითად, რა ჭამა დილით);**
5. **სივრცითი აღქმა – საგნებს შორის მანძილის განსაზღვრა, დიაგრამის კოპირება, საათის ხატვა;**
6. **ფრონტალური “ფუნქცია” – მეტყველების სისხარტე (სიტყვების ჩამოთვლა ერთ ასოზე (1 წთ-ში – 10 სიტყვა), აბსტრაქტული აზროვნება და კონცეპტუალიზაცია (ანდაზის გაგება, განსხვავების მოძებნა, მაგალითად, ბაგშვი და ჯუჯა), შეფასება (ყველაზე დიდი საგანი ოთახში).**

ორგანული პათოლოგიების დროს ფსიქოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობაზე არაერთაზროვანი მოსაზრებები არსებობს. ფსიქომეტრული ტესტებით მიღებული შედეგები არ უნდა იყოს გადაფასებული. არ არსებობს ისეთი ტესტი, რომელიც სრულად გამიჯნავს ორგანული დაზიანებით განპირობებულ ფსიქიკურ ცვლილებებს სხვა პათოლოგიებისაგან. ფსიქოლოგიური კვლევის მონაცემები არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ საერთო კლინიკური სურათისაგან იზოლირებულად. ამავდროულად, ფსიქომეტრულ ტესტებს ჩვეულ კლინიკურ გამოკვლევასთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც გააჩნია. ეს არის სტანდარტიზებული და ქულებით შეფასებადი ტესტიკა, რომელიც უტარდება ავადმყოფთა დიდ ჯგუფს. გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს გარკვეული პერიოდულობით, რაც გვაძლევს მდგომარეობის ცვლილებაზე დაკვირვების საშუალებას. ფსიქოლოგიური ტესტებით, აგრეთვე, კლინდება ინდივიდუალური თავისებურებანი და უმნიშვნელო კოგნიტური დაქვეითებაც.

ფსიქოლოგიური ტესტის საჭიროების განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ მისი უპირატესობაც და შეზღუდვებიც. ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს ფსიქოლოგიური ტესტირების მოცულობის საჭიროება (34).

### ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები

იდეალურ ვარიანტში, ორგანულ ფსიქიკურ აშლილობებზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ყველა პაციენტს რუტინულად უნდა ჩაუტარდეს სისხლის საერთო ანალიზი, სეროლოგიური გამოკვლევა ნეიროსიფილისზე, გულმკერდის რენტგენოგრაფია), და შარდის საერთო ანალიზი (35). სიცხის უმნიშვნელო მატების შემთხვევაშიც კი ტემპერატურა უნდა გაიზომოს ყოველ 4 სთ-ში ერთხელ (რათა გამოირიცხოს რაიმე თანდართული სომატური დაავადება). სხვა კვლევების აუცილებლობა განისაზღვრება ანამნეზური და კლინიკური სურათის მონაცემების საფუძველზე. უპირატესობა ენიჭება არაინვაზიურ გამოკვლეებს, მაგალითად ჯერ ინიშნება ეგზ, თავის ქალის რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული ტომოგრაფია, ხოლო თავზურგტვინის სითხის გამოკვლევა ინიშნება მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში (36).

### დემენციის დიაგნოსტირების პროცესი მოიცავს:

- სრულფასოვანი ანამნეზის შეკრებას (ძველი ავადმყოფობის ისტორიების, სამედიცინო ჩანაწერების, ახლობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე)
- ფიზიკური სტატუსის კვლევას (განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნევროლოგიურ გამოკვლევას)
- ფსიქიკური სტატუსის შესწავლას
- კოგნიტური ფუნქციების შეფასებას
- ფსიქოლოგიურ გამოკვლევას ფსიქომეტრული ტესტების გამოყენებით
- ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ გამოკვლევებს

## დიფერენციული დიაგნოზი:

### დემენციის დიფერენციალური მოიცავს:

- დიფერენციულ დიაგნოზს ორგანულ და არაორგანულ პათოლოგიებს შორის;
- დიფერენციულ დიაგნოზს მწვავე და ქრონიკულ ორგანულ რექციებს შორის;
- დიფერენციულ დიაგნოზს დიფუზურ და ლოკალურ დაზიანებას შორის.

### დიფერენციული დიაგნოზი ორგანულ და არაორგანულ პათოლოგიებს შორის

ორგანული და არაორგანული პათოლოგიების გამიჯვნა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთულია. ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ანამნეზურ მონაცემებსა და კლინიკურ გამოკვლევას. ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის შედეგები უნდა განვიხილოთ ერთიანი კლინიკური სურათის ჩარჩოებში (37).

ნევროზული რეგისტრის აშლილობები, როგორიცაა შფოთვა, გამდიზიანებლობა, ძილის რიტმის მოშლა, დეპრესია, დამახასიათებელია ცერებრული დაავადების აღრეულ სტადიაზე. პაციენტი უჩივის მეხსიერების დაქვეითებას, კონცენტრაციის გაძნელებას, ამას შეიძლება თან ახლდეს სხვადასახვა გაუგებარი სომატური ჩივილები. შედარებით იშვიათია ფობიკური და ობსესიური სიმპტომები.

ორგანული პათოლოგიის მქონე პაციენტები, უმეტესად, სათანადოდ ვერ აფასებენ კოგნიტურ დეფიციტსა და სიმპტომთა სიმწვავეს და საჭირო ხდება ობიექტური ინფორმაციის შეკრება მათი ახლობლებისაგან, მაშინ, როცა ნევროტული პაციენტები გადაჭარბებულად წარმოაჩენენ პრობლემებს და აქტიურად ითხოვენ შველას. დიფერენციული დიაგნოზისათვის მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების თავისებურებას და წარსულში ფსიქიკური აშლილობების არსებობას (38).

დისოციაციური აშლილობებისთვის, როდესაც ვითარდება უცნაური სომატური და ნევროლოგიური სიმპტომები, დიფერენციული დიაგნოზი უნდა გატარდეს შემდეგი ნიშნების გათვალისწინებით: ისტერიული რეაქციებისთვის დამახასიათებელია უცნაური, დემონსტრაციული ხასიათი, სტრესულ სიტუაციასთან კავშირი, გარდამავალი ხასიათი, ქარაქტეროლოგიური თავისებურება. ისტერიული რეაქციის პირველად გამოვლინება ხანდაზმულ ასაკში იშვიათია.

შიზოფრენიასთან დიფერენციული დიაგნოზის გატარებისას უნდა შეფასდეს ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის თავისებურება. ორგანული პათოლოგიების დროს სჭარბობს ვიზუალური ჰალუცინაციები (შიზოფრენიისას - აუდიტორული), აფექტურად შეფერადებული ბოდვითი იდეები (შიზოფრენიისას - ავტომატიზმები), უპირატესად

არასისტემატიზებული, ინკომუნიკაციული და არამყარი, ან სტერეოტიპული და ლარიბი შინაარსის. უნდა გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია შიზოფრენიის და ორგანული პათოლოგიის თანაარსებობა (39).

დეპრესიის დროს გამოხატულია ფსიქიკური ფუნქციების შენელება; კონცენტრაციისა და ყურადღების პრობლემები, მესიერების დაქვეითება, გაჭიანურებული აზროვნება. ამ დროს მნიშვნელოვანია, დადგინდეს სიმპტომების განვითარების თავისებურებანი. დეპრესიის დროს კონცენტრაციის გაძნელებას უფრო მეტად იწვევს ინტერესთა დაქვეითება ან გამოხატული შფოთვა, ვიდრე აზროვნებისა და მესიერების პერვერზიული ცვლილებები. დეპრესიული ავადმყოფი უფრო ადვილად ახერხებს თავისი მდგომარეობის შეფასებასა და თანმიმდევრულად აღწერას, ვიდრე ორგანული პათოლოგიის მქონე პაციენტი.

პერსონოლოგიური აშლილობები, განსაკუთრებით ლაბილური (მოსაზღვრე) ტიპის, ემსგავსება შუბლის წილის დისფუნქციის დროს განვითარებულ აშლილობებს. ფრონტალური დემენციის ადრეულ სტადიაზე ან შუბლის წილის დაზიანების შემდგომ ადგილი აქვს პიროვნების გარკვეული ტიპით შეცვლას, კერძოდ, უპასუხისმგებლო ქცევას, ემოციურ ლაბილობას, თავშეუკავებლობას და სხვ. ამ დროს გულდასმით უნდა შევისწავლოთ ანამნეზი, გამოვკითხოთ ახლობლები და დავადგინოთ პრემორბიდული პიროვნული თავისებურებები (40).

### **დიფერენციული დიაგნოზი ქრონიკულ და მწვავე ორგანულ რეაქციებს შორის**

მწვავე ორგანული რეაქციისთვის დამახასიათებელია:	ქრონიკული ორგანული რეაქციისთვის დამახასიათებელია:
<ul style="list-style-type: none"> <li>უცაბედი დასაწყისი ცნობიერების პათოლოგიით;</li> <li>სიმტომატიკა გამოირჩევა ერთგვაროვნებით და, უმეტეს შემთხვევაში, ახასიათებს: ქცევითი დარღვევები (განმეორებადი, უმიზნო, სტერეოტიპული მოძრაობები), ლაბილური აფექტი, აღქმის პათოლოგია და მდიდარი ფანტაზიები, ძირითადად, სუსტად სისტემატიზებული დევნის იდეების სახით);</li> <li>სპეციფიკური ნიშნები დამოკიდებულია გამომწვევ მიზეზზე, მის ინტენსივობასა და ბუნებაზე (ტოქსინი, ინფექცია და ა.შ.);</li> <li>საერთო კლინიკურ სურათზე გავლენას ახდენს პაციენტის პერსონოლოგიური თავისებურებაც;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თანდათანობითი დასაწყისი უპირატესად მესიერების გაუარესებით;</li> <li>წამყვანი სიმპტომებია: მესიერებისა და სხვა კოგნიტური ფუნქციების დაქვეითება;</li> <li>ფსიქიკური ცხოვრების დაქვეითება და გაღარიბება, დეფექტური ცხოვრება რეალურ სამყაროში;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• უმეტესად შექცევადია (თუმცა, შესაძლოა ქრონიკულ მდგომარეობების გადასვლაც)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმეტესად შეუქცევადია (შექცევადი მდგომარეობების განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი კლინიკური ამოცანაა)</li> </ul>
---	--

## დიფერენციული დიაგნოზი ფოკალურ და დიფუზურ დაზიანებას შორის

ფოკალური დაზიანებისას:	დიფუზური დაზიანებისას:
<ul style="list-style-type: none"> <li>• ფსიქიკურ ნიშნებზე მეტად გამოხატულია ნევროლოგიური ნიშნები(აფაზია, ჰემიპარეზი)</li> <li>• ფსიქოზური ნიშნები უფრო იზოლირებულია (მაგ., ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომი)</li> <li>• ფოკალურმა პათოლოგიამ შესაძლოა გამოიწვიოს დიფუზური ნიშნებიც, მაგალითად, ქალას შიდა წნევის მომატების გამო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აღინიშნება ფსიქიკური ფუნქციების გლობალური გაუარესება</li> </ul>

## 6. ბაზოპაზლევების სქემა

კოგნიტური დეფიციტის შეფასება სტანდარტიზებული ტესტებით MMSE (მინი-მენტალური სტატუსის კვლევა), მეხსიერების, მეტყველების, ყურადღებისა და კონცენტრაციის, სივრცითი აღქმის, ორიენტაციის, გნოზისისა და პრაქსისის კვლევა სტანდარტიზებული ტესტებით
სისხლის საერთო ანალიზი
შარდის საერთო ანალიზი
სეროლოგიური ტესტი ლუესზე
გულმკერდის რენტგენი (აქაც, ან სკოპია, ან გრაფია)
ელექტროენცეფალოგრაფია
სისხლის ბიოქიმიური ანალიზი
თავის ქალის რენტგენოგრაფია
კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული ტომოგრაფია
ლუმბალური პუნქცია

(41, 42)

## 7. მპურნალობა

შემთხვევის მართვა

### 1. დიაგნოსტიკური შეფასება

ფსიქიატრიული, ნევროლოგიური და სომატური სტატუსის შეფასება

- კოგნიტური და არაკოგნიტური სიმპტომების ბუნებისა და მიზეზების განსაზღვრა;
- ზოგადი სამედიცინო მდგომარეობის გამოვლენა, რომელიც იწვევს ან აუარესებს დემენციას და, შესაძლოა, ექვემდებარება მკურნალობას;
- საჭირო სამედიცინო დახმარების განსაზღვრა და განხორციელება

### 2. სიმპტომების შეფასება და მონიტორინგი

ყველა სიმპტომის გამოვლენა და მათი სიმწიგვის განსაზღვრა

პაციენტის მონიტორინგი

- კოგნიტური და არაკოგნიტური სიმპტომების შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ ან სამჯერ;
- იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს აღენიშნება გარკვეული სიმპტომები (მაგალითად, აგრესია), ან იმყოფება სპეციფიკურ მკურნალობაზე, საჭიროა უფრო ხშირი მონიტორინგი (43, A)

### 3. უსაფრთხოებაზე ზრუნვა

პაციენტის მიერ ძალადობისა და სუიციდის რისკის შეფასება

მოვლისა და სუპერვიზიის ადეკვატურობის შეფასება

ყველანაირად უნდა ავიცილოთ თავიდან პაციენტის ძირს დაცემა:

- მინიმუმადე უნდა დავიყვანოთ ორთოსტატიკული ჰიპოტენზიის განვითარების რისკი;
- ცნს-ზე მოქმედი პრეპარატები უნდა შეირჩეს დიდი სიფრთხილით;
- უნდა ვიზრუნოთ გარემოს უსაფრთხოებაზე (მაგალითად, იატაკზე დაგებული ხალიჩა და ა.შ);
- სიარულის, აბაზანასა და ტუალეტში გასვლის შემთხვევაში უნდა გაეწიოს შესაბამასი დახმარება

**აგადმყოფის შორ მანძილებზე გადაადგილებასთან  
დაკავშირებული საშიშროების შემცირება:**

- განვუმარტოთ და ავუხსნათ ოჯახის წევრებს არსებული საშიშროება;
- სარისკო ადგილებში პაციენტის მოხვედრის თავიდან ასაცილებლად უზრუნველვყოთ სათანადო სუპერვიზია;
- შევარჩიოთ კარისა და გასასვლელების უსაფრთხო საკეტები, რათა თავიდან ავიცილოთ პაციენტის ადვილად გასვლა სახლიდან;
- ყველა პაციენტი და ოჯახის წევრი ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, რომ მსუბუქი და საშუალო დემენციის შემთხვევაშიც კი სარისკოა პაციენტის მიერ მანქანის მართვა ან დაზგა-დანადგარებთან მუშაობა (44, C)

#### **4. თანამშრომლური ურთიერთობის დამყარება პაციენტთან და მის ოჯახთან**

- უზრუნველვყოთ ემოციური თანადგომა და ინფორმაციის მიწოდება პაციენტებისა და მათი მომვლელებისათვის, რომლებიც ხშირად შეშინებული და დაბნეულები არიან;
- შევაგროვოთ ინფორმაცია პაციენტის შესახებ ნათესავებისაგან და ახლობლებისგან;
